

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური პროგრამებით

მოსარგებლე მოწყვლადი ბავშვიანი ოჯახების

სოციალური საჭიროებების ანალიზი

მარიამი ნარიმანაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა სამაგლიშვილი, MSW, PhD

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი ეხება მუნიციპალური სოციალური პროგრამებით მოსარგებლე მოწყვლად ბავშვიან ოჯახებს და მათი საჭიროებების შესწავლას. წარმოდგენილი კვლევა პასუხობს შემდეგ კითხვებს : რა საჭიროებები აქვთ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური პროგრამებით მოსარგებლე მოწყვლად ბავშვიან ოჯახებს, რამდენად არის მუნიციპალური სოციალური პროგრამები ბენეფიციართა საჭიროებებზე მორგებული, დამატებით რა სირთულეებს აწყდებიან ოჯახები ბავშვ(ებ)ზე ზრუნვის პროცესში და რა კუთხით საჭიროებენ მხარდაჭერას, იმისათვის რომ შემცირდეს ბავშვების ბიოლოგიური ოჯახებიდან სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში მოხვედრის რისკი.

გაეროს ბავშვთა ფონდის 2012 წლის კვლევაში ვკითხულობთ, რომ საქართველოში დაახლოებით 77 ათასი ბავშვი ცხოვრობს უკიდურეს სიღარიბეში, რაც საქართველოს ბავშვთა მოსახლეობის 9.4 პროცენტს შეადგენს. ეს ციფრები ცხადყოფს, რომ ბავშვთა მოსახლეობის საკმაოდ დიდი რაოდენობა ოჯახისაგან განცალკევების რისკის წინაშე იმყოფება. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვზე ზრუნვა ევალება მშობელს, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას მხარი დაუჭიროს ბიოლოგიურ მშობლებს დააკმაყოფილონ არასრულწლოვანთა საბაზისო და განვითარების საჭიროებები (**გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია.1989. მუხლი 27**).

ოჯახების გაძლიერების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობების როლი, რაც უკვე განისაზღვრა **2018 წელს მიღებული საქართველოს კანონით სოციალური მუშაობის შესახებ (მუხლი 56)** .

დღეისათვის მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახური ნაკლებად პასუხობს მოქალაქეთა განსხვავებულ საჭიროებებს. იკვეთება აუცილებლობა, რომ სოციალური მუშაკები თემის დონეზე მუშაობდნენ, რათა მათ ადრეულ ეტაპზე გამოავლინონ

რისკი და ბავშვს და ოჯახს ადეკვატური მხარდაჭერა აღმოუჩინონ. (ნამიჭეიშვილი, ს. სამაგლიშვილი, შ. 2014)

ამჟამად, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახურის მიერ არ არის შესწავლილი სამიზნე ჯგუფების საჭიროებები, ასევე არ არის შეფასებული მომსახურებების ზეგავლენა და ბენეფიციართა კმაყოფილება. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად ადგენს ბიუჯეტს სოციალური პროგრამების განსახორციელებლად. (საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია. 2018)

მუნიციპალური სოციალური პროგრამებით მოსარგებლე ბავშვიანი მოწყვლადი ოჯახების სოციალური საჭიროებების შესასწავლად, შეირჩა თვისობრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ ნახევრად-სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუ .

კვლევის სამიზნე ჯგუფად შეირჩნენ ახალციხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოწყვლადი ბავშვიანი ოჯახები, რომლებმაც 2018-2019 წლებში მიმდინარე წლის აპრილის ჩათვლით ისარგებლეს მუნიციპალური სოციალური პროგრამებით.

წინამდებარე კვლევა არის აღწერითი ხასიათის. კვლევაში მონაწილეობის შედეგად გამოიკვეთა ახალციხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოწყვლადი ბავშვიანი ოჯახების საჭიროებები. საჭიროებების განსაზღვრა საშუალებას მისცემს ახალციხის მუნიციპალიტეტის სოციალური უზრუნველყოფის სამსახურს, რომ განავითაროს ბენეფიციართა საჭიროებებზე მორგებული მუნიციპალური სოციალური სერვისები, მეორე მხრივ, საჭიროებებზე დაფუძნებული პროგრამებით უზრუნველყოფილი იქნება თანხის მიზნობრივად ხარჯვა. ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინებით შესაძლებელია ადგილობრივ დონეზე თვითმმართველობის შესაბამისი სამსახურების მიერ ბავშვზე ზრუნვის სფეროში დაიგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს

ეტაპობრივად საჭიროებებზე დაფუძნებული მუნიციპალური სოციალური პროგრამების დანერგვას.

Abstract

This M.A. thesis concerns the study of vulnerable families with children using municipal social programs and the needs of these families. The presented research answers the following questions: what are the needs of vulnerable families with children using social programs of Akhaltsikhe Municipality; how municipal social programs are tailored to the needs of beneficiaries; what are the additional difficulties encountered by families in the process of child(ren) care and in what way they need support to reduce the risk of children to enter the state care system from his/her biological family.

According to the study of the UNICEF 2012, nearly 77,000 children live in extreme poverty, which is 9.4 per cent of Georgia's children. These figures demonstrate the fact that a large number of children are facing the risk of separation from the family. Although the parent is obliged to take care of a child, the state takes on an obligation to support biological parents to meet the basic needs of children under 18 years old in the period of their development. (CRC. Article 27, 1989)

The role of Local Governments is particularly crucial in the strengthening of families, and it has already been determined by the Law of Georgia adopted in 2018 on social work (Article 56).

Nowadays, the Local Municipality's Social Service Department is less responsive to the different needs of citizens. There is a need for social workers to work on the community

level to identify the risk at the early stage and provide adequate support for the child and the family.

At this point, the social service department of Akhaltsikhe Local Municipality has not studied the needs of the target groups, as well as the impact of services and beneficiaries satisfaction. Nevertheless, the municipality annually sets the budget for implementing social programs. (Association of Social Workers of Georgia, 2018)

The qualitative research method, namely semi-structured in-depth interviews, was selected to study the social needs of vulnerable families with children using municipal social programs.

Vulnerable Families with children living in Akhaltsikhe municipality, who benefited from municipal social programs during 2018-2019 years to April 2019 were selected as target groups of research.

This research has a descriptive character. As a result of participation in the research, the needs of vulnerable families with children living in Akhaltsikhe municipality have been identified. Determining needs will enable the Social Service Department of Akhaltsikhe Municipality to develop municipal social services tailored to the needs of beneficiaries, on the other hand, needs-based programs will ensure targeted expenditures. The Local Governmental respective departments may arrange appropriate activities in the field of child care, which will support to establish municipal needs-based social programs if taking into consideration the recommendations presented at the end of the thesis.